# ინტერესთა კონფლიქტი კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში (საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა)

ლევან მახათაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

# განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**ლევან მახათაძე**

**05.07.2021წ.**

# აბსტრაქტი


საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ მოქმედი კანონი ბევრ საკითხში არის მწირი და არ ახდენს საკორპორაციოსამართლებრივი საკითხების სრულყოფილ რეგულირებას. განსაკუთრებით, რეგულირების გარეშეა დარჩენილი კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ინტერესთა კონფლიქტის საკითხები, რაც გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტის არსის, წარმოშობისა და პასუხისმგებლობის სახეების განსაზღვრას.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ხელმძღვანელ ორგანოთა მიერ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის, რეგულირების, პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების და მოსალოდნელი შედეგების დეტალურად განსაზღვრა.

ნაშრომში საკვლევი საკითხების სრულფასოვნად შესწავლისთვის უმთავრესად გამოყენებულ იქნა შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლითაც შესწავლილ იქნა სხვადასხვა ქვეყნის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა. ასევე, შესწავლილ იქნა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ინტერესთა კონფლიქტის განმარტებასთან მიმართებით. კვლევის შედეგებით განისაზღვრა ის კრიტერიუმები, რომლებიც მმართველი ორგანოს წევრთა ქმედებას აკვალიფიცირებს ინტერესთა კონფლიქტად. წარმოჩინდა ის პრობლემური ასპექტები, რომელიც თავს იჩენს სასამართლო დავის განხილვისას ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ქმედების ინტერესთა კონფლიქტად კვალიფიკაციის, მტკიცების ტვირთის განაწილების და პასუხიმგებლობის დაკისრების წინაპირობების განსაზღვრის შესახებ.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ საჭიროა საქართველოს საკორპორაციო კანონმდებლობაში ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებით კომპლექსური საკანონმდებლო რეგულაციების მიღება, რომლითაც დეტალურად დარეგულირდება ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები და განისაზღვრება ის კრიტერიუმები, რომლებიც ნათლად განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის სახეებს.



**ნაშრომის საკვანძო სიტყვები:** ინტერესთა კონფლიქტი, კაპიტალური ტიპის საზოგადოება, ერთგულების მოვალეობა, კეთილსინდისიერების პრინციპი.

# Abstract

The current Law of Georgia on Entrepreneurs is very meager on many issues and does not fully regulate corporate legal issues. In particular, the problems of conflict of interest in capital-type societies remain unregulated, which involve defining the essence and origin of the conflict of interest and the types of responsibilities.

The purpose of this paper is to determine in detail the origin and regulation of conflicts of interest by governing bodies in capital-type societies and the expected consequences.

In the paper, the method of comparative legal research was mainly used for a full study of research issues, with the help of which the doctrines and court practice of different countries were studied. Georgian court practice on the definition of conflict of interest was also examined. Based on the results of the study, criteria were identified that qualify the actions of the members of the governing body as a conflict of interest. The problematic aspects that arise in the course of the court proceedings when determining the qualification of the actions of the members of the governing body as a conflict of interest, distribution of the burden of proof and defining the preconditions for imposing liability were presented.

The results of the study indicate the need for the adoption of comprehensive legislative norms regarding conflicts of interest in the corporate legislation of Georgia, which will regulate the cases of conflict of interest and determine the criteria that clearly define the types of conflicts of interest.



**Key words:** conflict of interest, capital-type society, duty of loyalty, the principle of good faith.